

კლუბების მენეჯერთა საყურადღებოდ!

ოთხშაბათს, 9 სექტემბერს, 12.00 საათზე იწყება და  
პარასკევს, 18 სექტემბერს, 20.00 საათზე სრულდება  
ახალი, 2020-21 წლების საშინაო სეზონის  
საშეჯიბრო განაცხადების მიღება

საამისოდ ყველა რესურსი დევს საქართველოს რაგბის კავშირის  
**მონაცემთა დამუშავებისა და სტატისტიკის სამსახურის** საიტზე  
[vue.ge](http://vue.ge)

მესამე სეზონია, განაცხადი ყველა ლიგაში ივსება და მუშავდება ელექტრონულად:  
საიტზე ოპერატიულად ახლდება როგორც ყველა გუნდის მიმდინარე სია,  
ასევე კრებსითი ნუსხა – თუ ვინ სად თამაშობს სამივე კატეგორიაში:  
კაცები, "ა" ლიგის ჭაბუკები [18წ], "ბ" ლიგის ჭაბუკები [16წ]

გუნდის მიმდინარე სიის გასახსნელად უნდა შებრძანდეთ შესაბამის ლიგაში  
და ცხრილში დაწკაპოთ გუნდის [წითელ] სახელზე,  
კრებსითი ნუსხები კი იღება საიტის მარჯვენა სვეტიდან

მანდვეა ლიგებად დახარისხებული და ანბანზე დალაგებული ყველა კლუბის საკონტაქტო ინფოც:  
საკადასტრო კოდი, კლუბის საშეჯიბრო სახელი, მენეჯერის ვინაობა, მობილური და მეილი

განაცხადი ივსება ექსელში – სეზონის წინ: დადგენილ ვადაში და ერთხელ!  
ამისთვის საიტის მარჯვენა სვეტიდან უნდა ჩამოტვირთოთ **სეზონის განაცხადის ფორმა**  
[http://vue.ge/2020-2021/SIA/SIA\\_2020-21.xls](http://vue.ge/2020-2021/SIA/SIA_2020-21.xls) და შეინახოთ თქვენს კომპიუტერში

ფორმა უნდა შეავსოთ ქართული იუნკოდით **[KA]** და გადმოაგზავნოთ მეილზე [siebi@rugby.ge](mailto:siebi@rugby.ge)

განაცხადში შეტანილი ინფო ოფიციალურია და ნიშნავს, რომ:

- 1) მენეჯერის მეილია კლუბის მისამართი – მიმოწერა წარმოებს მხოლოდ მისი მეშვეობით
- 2) ჩამოთვლილი მოთამაშეები არიან კლუბის წევრები და აქვთ ხსენებულ ლიგაში თამაშის უფლება
- 3) ჩამოთვლილ მოთამაშეებს გავლილი აქვთ სამედიცინო შემოწმება

თუ მოთამაშეს რამდენიმე სახელი ჰქვია – ისინი უნდა ჩამოთვალოთ **"სახელები"** გრაფაში

მოქმედი წესებით, 23-კაცა სამატხო რაზმში უნდა გყავდეთ მინიმუმ 6 პირველხაზელი – აქედან გამომდინარე, განაცხადშიც მინიმუმ 6 მოთამაშეს ახლავე უნდა დაუსვათ "@" ნიშანი

მოთამაშის პირადი ნომრის ჩაწერა სავალდებულოა, მობილურისა – სასურველი: რადგან ორივე საიდუმლო ინფოა, საითზე არ ქვეყნდება, მაგრამ კავშირის ბაზაში კი ინახება

თუ მოთამაშე სხვა კლუბიდან მიიღეთ – ამ კლუბის სახელი უნდა ჩაწეროთ გრაფაში "მარშან"

თუ განაცხადში 50 მოთამაშეზე მეტი გყავთ – გადადით შემდეგ გვერდზე

პირველადი განაცხადის მიღებისა და საითზე გამოქვეყნების შემდეგ სეზონის ბოლომდე მეტად აღარ მიიღება სხვა | სანაცვლო სრული სია

ამის შემდეგ

მოთამაშეთა დასამატებლად უნდა შეივსოს **დამატებითი განაცხადის მინი-ფორმა**  
[http://vue.ge/2020-2021/SIA/DAMATEBA\\_2020-21.xls](http://vue.ge/2020-2021/SIA/DAMATEBA_2020-21.xls)

მოთამაშეთა ამოსაშლელად უნდა მოიწეროთ გვარი და სიის ბოლო სვეტში მითითებული ნომერი

მონაცემთა დამუშავებისა და სტატისტიკის სამსახური  
siebi@rugby.ge